


# ქატომბრედი

საქართველოს  
ბავშვთა ჟურნალი



1958

# ოქტომბრული

№ 7  
030160  
1938 წ.



საბ. ს. ს. რ. ცაკის ზამ. „კომუნისტი“  
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34  
ტელ. № 3-02-61

საბ. პ. ლ. კ. კ. ციკას და საბ. განსახ. კომის. ირთოვიერსი ორგანო

## შენაარსი

	მ-
1. ი. ბრიზაშვილი—სტალინის თაიგული (ლექსი) . . . . .	1
2. ლიოზ ჩაღენელი—ჯამბული (წერილი) . . . . .	2
3. ჯაშუღული—ბავშვებს (ლექსი თარგმანი ი. იმედაშვილისა) . . . . .	3
4. ცჰვიტი—პასუხი შთეაროდან (მოთხრობა) . . . . .	4
5. გიორგი ჭუჩუშვილი—ნეტავ მალე გავიდოდეთ (ლექსი) . . . . .	6
6. არნო ონელი—ტულუმ შუაქდინა (მოთხრობა) . . . . .	7
7. ნოე ლაფნარელი—ჩვენი კერა (ლექსი) . . . . .	8
8. დავით შამათაშვილი—ბოჩოლა დაიკარგა (მოთხრობა) . . . . .	9
9. სანდრო ჭლენტი—სურათი (ლექსი) . . . . .	12
10. თურგან შანშიაშვილი—ნაყარა და ნაბია (ზღაპარი) . . . . .	13

### ბავშვთა შთეაროდება

11. ლიოლა თაბუკაშვილი—ჩემი ღინა (ლექსი) . . . . .	უღის მე-3 გე.
ბასანთოზი . . . . .	უღის მე-4 გე.

ქურნალი გაფორმებულია მხატვარ—ღონის მიერ.

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ—ი. კოქიაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. შიშინაძე      პასუხისმგებელი მდივანი თ. შანშიაშვილი

გადაეცა წარმოებას 13/VI-1938 წ.  
ხელმოწერილია დასაბუჯდად 11/VII

ქალაქის ზომა 60x92  
ფორმათა რაოდენობა 16 გე. 9 1/4 x 14

# სტალინის თაიგუდი


ეს ვარდები შენს სახელზე  
ჩემს ბაღში გავხარე,  
უფროს ვეღარ მოძებნე ვინ,  
საბჭოეთის დიდი მხარე.

დააკვირდი ამის ფარნას,  
სურნელებას, ფესვებს, რტოებს!  
აზნოდეს კილალებს,  
აზნოდეს მიკატოებს.

ეს ვარდები ჩვენ ვართ, სტალინი,  
ურევენი და მტკიცედ ძლილნი,  
შენს კალთაში დარწმუნლნი,  
შენი სიბრძნით გამოზრდილნი.

ვუფროსილდებით ჩვენს გასაფხულს,  
ერთად შევრულს ამ ჩვენს გულებს,  
ერთი ჰანგი გვიძღვრია,  
ერთი აზრი გვახუფდგმულებს:

— მია სტალინს გაუმბრჯოს,  
ვინც სწავლაში გვაძლევს ხალისს,  
მია სტალინს გაუმბრჯოს,  
მია სტალინს! მია სტალინს!



33/2

# ჭამბუღალი



ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შესანიშნავი მომღერალია კახაბეთის დიდი სახალხო პოეტი ჯამბუღალი. მისი ცხოვრება ზღაპარით მიდის.

ჯამბუღალი ღარიბი მომთაბარის კარავში დაიბადა 1846 წელს. მახლობელი მთის სახელი — ჯამბუღალი დაარქვეს ყრმა კახაბ ჯამბუღალს. მან ყრმობაშივე ისწავლა დომბრაზე დაკვრა. (დომბრა კახაბების საყვარელი მუსიკალური ინსტრუმენტია).

ბევრის მომსწრე და მნახველია ჯამბუღალი. მას კარგად ახსოვს ის შავბნელი დრო, როცა მის ქვეყანაში მონებით ვაჭრობდნენ. ახლა უხუცესი ჯამბუღალი თავს ბედნიერად გრძნობს, უმღერის თავისუფალი ხალხის სამაჟურ ცხოვრებას. მის ლამაზ ლექსებს მთელი საბჭოთა კავშირი მღერის.

ძლიერია ჯამბუღალის სიტყვა, რადგან იგი სიმართლეს უმღერის.

მე წლის ჯამბუღალი, რომელსაც თავისი თვალით უნახავს ბატონყმობა, მოძმე მონა კახაბებით ვაჭრობა და რუსეთის თვითმპყრობელი მეფეების მოხელეთა თარეში სამშობლოში, დღეს თავს ქაბუკად გრძნობს. ჯამბუღალი ამბობს:

— ღარიბი ვიყავი და კარგად მესმოდა ღარიბი ხალხის სულისკვეთება. გულმართლად მღერა შემეძლო მხოლოდ ჩემზე და ხალხზე. როდესაც ვმღეროდი ხალხზე, ვმღეროდი საკუთარ თავზეც, ხოლო როდესაც ვმღეროდი ჩემზე, იმავე დროს ვმღეროდი ხალხზე.

უხუცესი ჯამბუღალი სიხარულით მღერის:

„სიბერე ვერ მომერია, ჯამბუღალი ბედნიერია.“

საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ბედნიერი მომღერალი პოეტი მისი 75 წლის



შემოქმედებითი მუშაობისათვის დააჯილდოვა ლენინის ორდენით ამ წლის მაისში.

დიდი ქართველი პოეტის რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ჯამბუღალი საქართველოში იყო. ამ დღიდან მომღერლის ყოველ გამოჩენას ხალხი მკუხარე ტაშით ეგებებოდა. მაშინ ჯამბუღალის ფარჩის ხალათზე პირველი ჯილდო, შრომის წითელი დროშის ორდენი, ბრწყინავდა.

ჯამბუღალმა ინახულა გორში ის სახლი, სადაც დიდი სტალინი დაიბადა... დიდი სტალინი, რომელზედაც ჯამბუღალი ასე მღერის:

„სტალინო, ძვირფასო, ვერ შეგწუდეს ვერავინ,

სტალინო, ხარ ქვეყნის დიდი მომღერალი,

სტალინო, ხალხური სიმღერის მამა, სტალინო ჯამბუღალის ძლიერო მამა.“

# მამაშენი

გამარჯობათ, საყვარელო ბალებო,  
ჩვენო ნორჩო აქოჩრილო ლერწმებო,  
გაზაფხულით ტბას რომ შეატორტმანებთ  
და მით პაპას გულს სიამით აუვსებთ.  
თქვენ გესტუმრათ აწ ქალარა ჯამბული,  
მძიმე კუხად ზურგს აკვრია წარსული,  
მას ახარებს ცხოვრების გაზაფხული,  
როგორა ხართ, ხომ სიამით სცემს გული!  
თქვენ აღვილად აღიზრდებით ტანსრული  
სიჭაბუკე ნათელი ვაქეთ, ართქმული,  
მზე, ვარსკვლავი, ჰაერი და მდინარე  
მშობელივით დაგტრიალებთ მკინარე,  
კაცთა შორის ბრძენთა-ბრძენი სტალინი  
თავს გველებათ მამაზედაც ის ტკბილი,  
მოკაშკაშე სხივებით ვინც უნათებს  
ყველა ხალხის, ყველა ტომის ყრმა - ბავშვებს!  
აღამიანთ ცხოვრების გზა უჩვენა, -  
ქვეყნად მისებრ კეთილი სხვა ვინ არის?  
სტალინი ისე აღმართულა ცისკენა,  
ვით ზღაპრული საოცარი ჩინარი!  
ყველგან მოსჩანს მისი სახე, მიზნები,  
მისი ძალა, სიმტკიცე, ვით აღმასი,  
ჰა, რამდენი მოგთავაზათ წიგნები,  
ანბანი და გასართობი ძვირფასი!  
გაიცინებთ - შვებით გაეღიმება,  
„ისწავლეთო კარგად!“ გეტყვით ის ტკბილად!  
ვინც იკითხავს, წიგნს არ დაერიდება,  
ოქროს ხანას ეღირსება აღვილად!  
პიონერო სამუდამოდ გახსოვდეს,  
მაგალითად შენ სტალინი წინ გედგეს,  
როგორც მამა, ღიმილით რომ უნათებს  
ყველა ხალხის, ყველა ტომის ყრმა ბავშვებს!

თარგმანი იოსებ იმედაშვილისა



# პასუხი მთვარეზე



თბილი საღამო იყო. ბავშვები გარეთ თამაშობდნენ. გაბადრული მთვარე ქალაქს ოქროს სინივით თავზე წამოსდგომოდა.

— შეხედე, ბიჭო, რა უშველბეული მთვარეა, დახე, რა კარგია! — თქვა პატარა თენგიზმა და მთვარეს ღიმილით ცქერა დაუწყაო.

— უყურეთ, უყურეთ, ცხვირ-პირი რა კარგად უჩანს, მართლა ადამიანს არა ჰგავს?!

— ადამიანს კი არა, ის არ გინდა. ადამიანის სახით რომ ხატავენ, განა მართალია? მამამ არ გვითხრა, მთვარეც დედამიწის მსგავსიაო, ძალიან, ძალიან შორს არის და ასეთი პატარა იმიტომა ჩანსო.

იქ, თურმე, მთებიც არის და ხალხიცა ცხოვრობს, — წარმოთქვა შოთამ.

— ჰო, ჰო, მართალია, მეც გავიგონე, რომ ეხლა, თურმე, ამერიკაში დიდ, ძალიან დიდ ჰაეროპლანს აკეთებენ და იმით მთვარეზე უნდა აფრინდნენო, — სიტყვა დაუდასტურა გვიმ და ბავშვების წრეში შეიქრა.

— მართლა, შოთა, იცი, რა მოვიგონე! — წამოიყვირა უცებ თენგიზმა და თვალები სიხარულის ცუცხლით ავესო.

— იცი, რა მოვიგონე? მოდი დამთვარეზე წერილი გავგზავნათ.

— ხა-ხა-ხა! — გაღიხარხარეს ბავშვებმა და სიხარულით ტაში შემოკრეს.

— რას იცინით? — იწყინა თენგიზმა.

— რომელ ფოსტალიონს გაატან წერილს? — იკითხა სიცილით გვიმი.

— აი აქ რომ ბებერი ფოსტალიონი მოდის, ალბად ის წაიღებს, ფეხებს რომ ძლივს დაათრევს! — ხარხარებს შოთა.

— არა, ფოსტალიონს კი არა, ბიჭო, აი, წითელი ბურთები რომ არის, გრძელი ბაწარიც რომ აბია და სულ ზევით მიტრინავს.... იცი, როგორ მაღლა მიტრინავს?

— ჰო, ჰო, მართალია... შარშან ჩემ პატარა დას გავქცა და ისე შორს წავიდა, ისე, რომ... — სიხარულით შეტოკდა გივი დაჩაჩაჩული შარვალი ზევით აიწია.

— ეი, ბიჭებო, იქნებ მართლა მთვარესთანაც მიტრინდეს? მოდი, ვცადოთ, მაგრამ ისეთი ბურთი ეხლა სად ვიშოვოთ?!

— წამოიძახა თენგიზმა.

— ჩვენა გვაქვს, ჩვენა! დილას დედამ პატარა თემოს უყვიდა და სახლში საწოლის თავზეა მიბმული.

გივი სახლისაკენ გაქანდა, თამაზმა ქალაღი და ფანქარი მოარბენინა, და წერილის წერას შეუდგნენ.

— ამხანაგო მთვარის მცხოვრებნო, თქვენი ქირიმე, შეგვატყობინეთ, თქვენი მთვარე მართლა ჩვენ დედამიწასა ჰგავს? ან მართლა მანდ ხალხი ცხოვრობს თუ არა? ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ ამერიკაში ისეთ ჰაეროპლანს აკეთებენ, რომ, თურმე, მანდ უნდა მოფრინდეს. ჩვენ გვინდა იმ აეროპლანს დავასწროთ. გეხეწებით, პასუხი მაღე შეგვატყობინეთ. ბარნოვის ქ. № 44. გივი, თენგიზ, შალიკო, თამაზ.

ბავშვებმა ბარათი ბურთს ბაწარზე გამოაბეს და ყივილ-ხივილით გააფრინეს. მიდის, მართლა მთვარის მიმართულებით მიცურავს ბურთი და თან ქალაღლის ნაფხრეწს მიაფრიალებს.

— ოო, რა შორს წავიდა! წერტილივითა მოჩანს!

— ჩვენს გამოგონებას გაუმარჯოს! ყვირიან გახარებული ბავშვები და იმედი აქვთ, რომ მთვარიდან პასუხს მალე მიიღებენ.

\* \*

გავიდა ერთი კვირა. ერთ დღეს ბარნოვის ქუჩის № 44 სახლის ეზოში წერილების დამტარებელი მოვიდა და ხმა-მაღლა დაიყვირა:

— გრვი, თენგიზ, შოთა და თამაზი ვინ არიან?! წერილია, უგვარო წერილი, და აბა ვინ ჩაიბარებს?!

შოთა და თამაზი იქვე ბაღში იყვნენ და პატარა ნიჩბებით კვლებს აკეთებდნენ.

— ვაი! შოთა, ჩვენი წერილია! — წამოიძახა თამაზმა, და ბიჭებმა ნიჩბებს ხელი გაუშვეს.

— ძია, ჩვენა ვართ, ჩვენ! ეს მთვარიდან ხომ არ არის?! — სიხარულით იკითხა თამაზმა და წერილის დამტარებელს ხელი გაუბედავად გაუწოდა.

— რა ვიცი, მთვარიდან არის თუ ვარსკვლავიდან, გვარი კი არ აწერია და... თქვენა ხართ გივი და თამაზი?!

— დიად, ჩვენა ვართ.

— არიქა, ჩვენი წერილია, ჩვენი! მე მომეცი, ძია, მე!

დამტარებელმა წერილი თამაზს გადასცა და სწრაფად გატრიალდა.

ბავშვებმა სიხარულით აირბინეს სახლში და გივის დედას მიამხებეს:

— წერილია, დედა, წერილი! მთვარიდან წერილი მივიღეთ!

— რას ამბობ, ბიჭო, როგორ თუ მთვარიდან?

— ჰო, ჰო, გეუბნები, პასუხია მეთქი! დედამ მისამართს დახედა და გაიცნა.

— ბიჭო, მისამართი ქართულად აწერია და რეებს ლაპარაკობ? აი, ნახე: ბარნოვის ქ., №44.

გივიმ მოუთმენლად გახია კონვერტი, წერილი ამოიღო და წაიკითხა:

— ჩემო პატარა ცელქებო, თენგიზ, გივი, შოთა და თამაზ! თქვენ ბედზე ოსტატს ჩემი სახლის სახურავს ვაკეთებინებდით; თქვენს მიერ მთვარეზე გაფრენილი წერილიანი ბურთი მვეთულს გამოსდებოდა და სახურავზე კოხტად ფრიალებდა. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ პასუხს ხომ ვერ მიიღებდით?! ძლიერ სასიამოვნოა, რომ მთვარისა და ვარსკვლავების ამბავი გაინტერესებთ, მაგრამ ის კი არ მომეწონა, რომ თქვენთვის მთვარის შესახებ სწორი ცნობაარ

მოუციათ. მთვარეზე მე ბევრი რამ წამოკითხავს და მინდა ნამდვილი ცნობა სულ მოკლედ გავიზიაროთ. მამ ურუიკიყუნუნი  
დღით: ზმელოძე

ჩემო ცელქებო, უნდა გადაჭრით გითხრათ, რომ მთვარეზე არც ჰაერია და არც წყალი. მაშასადამე, იქ არავითარი სიცოცხლე არ არსებობს. ჰაერი მხოლოდ დედამიწაზეა და დედამიწიდან ასი კილომეტრის დაშორებით ჰაერი აღარ მოიპოვება.

თუ ასეა, რომ დედამიწის იქით ასი კილომეტრის დაშორებით ჰაერი აღარ არის, მაშინ არც ის იქნება მართალი,



ვითომ ამერიკაში მთვარეზე ასაფრენად დიდ ჰაეროპლანს აგებდნენ. აბა დაფიქრდით, თქვე ცუდლუტებო, რას ნიშნავს სიტყვა „ჰა...ე...რო...პლა...ნი“?

რას ნიშნავს და იმას, რომ ეს აპარატი თავისი ფრთებითა და პროპელერით მხოლოდ ჰაერის საშუალებით მუშაობს, უჰაეროდ კი იგი სრულიად გამოუსადეგარია.

არა, ცელქებო, ეგ კარა, და ის კი მართალია, რომ მეცნიერები ცდილობენ ისეთი აპარატი დაამზადონ რომელიც უჰაეროდაც თავის გზას არხეინად განაგრძობს. აი ეს აპარატი ზარბაზნის ტყვიის მოყვანილობისაა, შუაგულში მილი აქვს

მოწყობილი. ამ მიღში ასაფეთქებელი მასალა იქნება მოთავსებული, და როცა მას ააფეთქებენ, ეს შუშხუნა შორს, ძლიერ შორს შეიტყორცნება და, თუ ზუსტად არის გამოანგარიშებული, შეიძლება მთვარემდისაც მიაღწიოს.

ასე ფიქრობენ მეცნიერი გამომგონებლები, მაგრამ ეს ჯერ ოცნებაა, ჩემო პატარებო, და, ალბათ, ადამიანი ამ ოცნებასაც მალე განახორციელებს, ისევე, როგორც მან ჰაერში ფრენა და რადიოს საშუალებით მთელ ქვეყანასთან გამოლაპარაკება განახორციელა.

რაც შეეხება თქვენ გამოგზავნილ აპარატს, იმან თავისი მოვალეობა უფრო კარგად შეასრულა, ვიდრე მას ჰქონდა დაკისრებული.

საწყალომა იფრინა იფრინა და ისე მასწავლებლის კარს მოადგა — არიქა შენი ჰირიმე ბავშვებს გაუქირდათ და ახლებს შენ უშველეო.

მთვარის შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ჯერჯერობით შეგეყოფათ და როცა გაიზრდებით, მაშინ უფრო ბევრს შეიტყობთ.

ოლონდ ერთი რამ უნდა გითხრათ: როცა რამის გაგება გინდათ, მთვარეს კი არ უნდა შეეკითხოთ, არამედ მასწავლებელს უნდა მიმართოთ.

ამით ვასრულებ ჩემს განმარტებას, თქვენ კი გისურვებთ ბეჯითად მეცადინეობას, რომ მართლა კარგი გამოგონებლები გამოხვიდეთ.

თქვენი მოსიყვარულე მასწავლებელი.

### ბოჩო ბეჭედი

## ნეტავ მალე გავიდოდეთ



დიდრეკა სკოლის ზარი, ახმაურდა ეზო, სკოლა; მოწაფეთა ნორჩი გული სიხარულის გრძნობით ქროლავს.

ფრიალები ვინც მიიღო, — შურდულივით შინ მიქროლავს, და კლასის წინ აბუზული დგას, ვინც სუსტი გაიყოლა.

გამოცდები ჩააბარეს, გაუთავდათ ბაღლებს სწავლა და ნატრობენ: „რა კარგია ველ-მინდორზე ახლა გავლა!

ნეტავ მალე გავიდოდეთ საბანაკოდ სადმე სოფლად, სხვა კუთხიდან ჩამოსული ტოლ-სწორების გასაცნობად!

დიდით ადრე პირველ სიცილს ჩვენ დავასწრებთ მზის ცელქ სხივებს, ხან მდინარეს მივაშურებთ, ხან ვეწვევით კოლექტივებს!

ვივარჯიშებთ, წიგნს ვიკითხავთ, შევიმატებთ ცოდნას, სიმზნეს, რომ შემდეგში მხარი მივცეთ ქარხნის მუშებს და მიწის მხენელთ“.

პაწიებო! თქვენი ნატვრა ასრულდება დღეს თუ ხვალე, მე კი, მე რა მეშველება, რომ ვერ გნახავთ ისევ მალე?

უთქვენობით როგორ გავძლო, ვინ მომაპყრობს თქვენებრ თვალებს? მოდით, მეც თან წამიყვანეთ, არ დამტოვოთ, გენაცვალეთ!





# ქულომ შეყვანილი



რი მდინარის შესართავთან მდებარეობს ნოდარის სოფელი. მშვენიერი სოფელი: ღამაში სახლები, ახლადგაყვანილი შარაგებები, თითოეულ კარმიდამოს მწვანე ბალ-ბოსტანი ამშვენებს.

შუა სოფელში, წინათ რომ ეკლესია იყო, ახლა მშვენიერი სკოლაა. იქ ნოდარიც სწავლობს. ახლა სკოლა ჩუმად გამოიყურება: მოსწავლეები დათხოვნილი არიან.

ზაფხულია. ჯერ ხშირი წვიმები დაიწყო, შემდეგ კი პაპანაქება სიცხე დადგა. ნოდარი დილა-საღამოს გულმოდგინედ რწყავს ყვავილებს, ხეხილს.

შუადღისას, სოფელზე რომ ლაპლაპა სიცხე ჩამოწვება, ყველა, დიდი და პატარა, მდინარისაკენ მიმშურება საბანაოდ.

ყველაზე საცოდავი ნოდარი და მისი ძალიერი ქული იყვნენ. ნოდარი იმით, რომ დედა არ უშვებდა საბანაოდ, ჯერ პატარა ხარ და მეშინია არ დაიღრჩო წყალშიო, ხოლო ქული, ნოდარის გულშემატკივარი მეგობარი, მუდამ წარბში მისჩერებოდა მას, უმისოდ არსად მიდიოდა, ენაგამოგდებული იწვა დერეფანში და გულმოდგინედ იტანდა სიცხესა და ნოდარის მოუსვენრობას.

— დედიკო, გამიშვი საბანაოდ, ყველა ბანაობს, და მე რაღა ვარ? თუ არ გამიშვებ, გავიპარები!

— არა, შვილო, აგერ იბანავე, გობში გაგიზადებ ცივ წყალს, ჩაწეკი და იქყუშალე, — ეტყოდა ხოლმე დედა.

ამის გაგონებაზე ნოდარი უხასიათოდ შეიქნებოდა. „ცხრა წლის ბიჭი, ისიც

ფრიადოსანი, ნუთუ ისე პატარაა, რომ ბანაობა არ შეეძლოს?“ — ფიქრობდა გულში და თან დედისაკენ ცალი თვალით იხედებოდა — ვინ იცის, ეგებ შევებრალო და გამიშვასო.

მაგრამ ამაოდ!  
ქული კი ისევ იქვე, დერეფანში იწვა და სიცხისაგან ქასქასებდა. სინანულით შესტკეპროდა თავის უფროს მეგობარს, თითქოს ანიშნებდა: დედას რას ეკითხები, წამო, გავიპართო.

ნოდარის სახლიდან რაღაც ასიოდ ნაბიჯით იყო დაშორებული მდინარე, საიდანაც მობანავეთა მზიარული ჟივილ-ხივილი ისმოდა. ერთერთი მობანავე ისე დახელოვნებულიყო ცურვაში, რომ რამდენიმე მეტრის სიმალიდან კისრით ხტებოდა აზვირთებულ მდინარეში. რამდენიმე წამის შემდეგ თავს ამოყოფდა და მარადლ გატურავდა მდინარეს.

ნოდარი ღობესთან მისულიყო. შორიდან უტკეპრდა მობანავეებს. „ყველა ჩემი ტოლი იქაა, მე რაღა დავაშავეო“ — ფიქრობდა თავისთვის.

ნოდარის დედას დიდი ხნის უნახავი ნათესავი ესტუმრა. მასპინძელი გულმზიარულად შეხვდა. ტკბილი საუბარი გაიმართა. ნოდარმა ამით ისარგებლა და ელვის სისწრაფით გადახტა ღობეზე, მდინარისაკენ მოუსევა. ქული კიდევ უარეს ამბავში იყო: იგრძნო მეგობარს წადილი უსრულდებო და მიწაზე ფეხს აღარ აკარებდა, ფრენით უვლიდა ვარშემო, ხან ფეხებში შეუხტებოდა, ხან სიხარულით ყვფდა, იკლებდა იქაურობას.

აი მდინარეც. ნოდარმა საჩქაროდ ტანს გაიხადა. ქულის თვალები გაუბრწყინდა, უხაროდა — მეც შენთან ერთად ვიბანავებო. სულმა წასძლია სიცხისაგან შე-



უწვა და აღერსით ულოკავდა მისველ  
ფეხებს. როდილა აწუხებდა ქულის სი-  
ხე, იქით-აქეთ დარბოდა, მისველ  
ყვდა.

ნოდარმა წყალში ჯერ ფეხი ჩადგა,  
მერე შიგ მუხლებამდე შევიდა. შეუჩე-  
ველ სხეულს ეხამუშება გრილი წყალი.  
მაგრამ აქ ქულიმ გაათამამა: თავისუფლოდ  
და ხალისიანად შეუძღვა მდინარეში.

ნოდარიც თან მიჰყვა. არ უნდოდა  
სირცხვილი ეჭამა: რას იტყოდნენ ამბა-  
ნაგები, ძაღლმა აჯობა ცურვაშიო. რამ-  
დენიმე ნაბიჯი რომ შედგა წყალში, ისე-  
თი ღრმა იყო, რომ ფეხი ვეღარ მოიკიდა.  
ჩაიყურყურმაღავა და ხნღებს საცოდავად  
ასავსავებდა. უნდოდა დაეყვირა, მაგრამ  
პირი წყლით ჰქონდა სავსე. ვეღარაფერს  
ხედავდა, ტალღა ტალღაზე სცემდა. ამ  
გაწამაწიაში იყო, როცა მობანავეებმა  
თვალი მოჰკრეს, მისცვიდნენ და „მო-  
ცურავე“ ნაპირზე გამოიყვანეს.

ქული იქვე იდგა, თავი დაბლა დაე-  
ხარა, ნაღვლიანად უტკერდა და თან ფი-  
ქრობდა: ჩემი ბრალია, რაზე გავათამა-  
მეო. ბოლოს, როგორც იქნა, ნოდარი  
გონზე მოვიდა...

წუხებულს: ფონში ლივლივით შეცურდა.  
უმზერდა ნოდარი და კვირობდა: ნეტავ  
ვინ ასწავლა ამ ოინბაზს ცურვაო?  
რაც დაბადებულა, სულ მასთან იზრდება,  
უმისოდ ფეხი არსად გადაუდგამს, რო-  
გორ მოხდა, რომ ასე ოსტატურად ცუ-  
რავს? „როგორც ჩანს, ძაღზე იოლი სა-  
ქმე უნდა იყოს ცურვა. ქული ხომ სულ  
რვა თვისაა, მე კი ცხრა წლისა, იმან უნ-  
და იცოდეს ცურვა და მე არა?“-ფიქრო-  
ბდა ნოდარი.

ქული კი კვლავ მიცურავდა, შუა მდი-  
ნარემდე შევიდა. მხიარული თვალით უმ-  
ზერდა, თავს აწონებდა თავის უფროს  
მეგობარს: ხომ ხედავ, რა ცურვა ვიციო!  
ბოლოს, ცურვით რომ გული იჯერა, ნა-  
პირზე გამოვიდა, ნოდარის ფეხქვეშ გა-

ნოა ღაჴნაქანი

ჩვენი კერა



რა კარგია ჩვენი კერა,  
მორთული და მოწყობილი,  
სუფთა, კონტა, მრავალფერად  
შეფერილი....შედებილი.  
რა კარგია სიმღერები,  
სადილობა, თამაშობა,  
ამოდენა გასართობი,  
სათამაშო და ბავშვობა!

რა კარგია მხიარული  
და ნათელი ჩვენი კერა,  
ჩვენი მწყობრი სიარული,  
სიკისკასე და სიმღერა!  
ვხტით და ვფირინავთ სისარულით,  
ნელანელა ვსწავლობთ; ვხარობთ,  
რომ ძვირფასი დედის გული  
და სამშობლო გავახაროთ.





დაღონებული მარინე საღამო ჟამს ქას-  
თან იღვა და ერთსა და იგივეს მიათედ  
ეკითხებოდა თეკლეს:

— აბა, შე ქალო! გვაზოურში მგელი  
არ იცის?! თედო ნუ მოგიკვდება, არ  
დამიმალო, ბავშვების ჯავრი მკლავს. მე-  
რე აპრილში უნდა მოეგო იმ მოსასპობს...  
საწყალი ჩემი ბოჩოლა ბავშვივით მყა-  
და გამოზრდილი...

— ქალო, ასე გამიგონია! — თვესაფა-  
რი ვაისწორა თეკლემ, კოკა განზე მიდ-  
გა და განაგრძო: — სად უნდა წავიდეს,  
აგერ ქრისტინეს ძროხა ამასწინეთ ორ  
კვირას ვერ ნახეს, ბოლოს სამოსნა ჯიშ-  
კარიანს ენახა. პარასკევბას ბაზრობიდან  
ბრუნდებოდა თურმე, სურმავეების ბორ-  
ანთან იწვია, გასუქებულიყო, მის ნახ-  
ვას არაფერი ჯობდა!

— რა ვიცი, შენს ენას შეაქარი! იმე-  
დი კარგია, მაგრამ ბავშვები ჯავრით  
ალარ არიან.

გუშინ მარინეს პატარა ოქროპირი  
სკოლაში რომ მივიდა, ჩვენმა გოგამ  
უთხრა:

— მამაჩემმა შენი ბოჩოლა გვაზოუ-  
რის კოლექტივთან ნახაო.

მოუთმენლად ელოდა ოქროპირი გა-  
კვეთილების დამთავრებას. გაკვეთილე-  
ბის შემდეგ თავის უმცროს დაიკო იას  
დაუძახა და უთხრა:

— ია! მე ქალაში მივალ ბოჩოლას  
მოსაძებნად. შენ კი წიგნები წაიღე შინ,  
დელას არ შეეშინდეს!

— ალა ოქლო! მეც წამიყვანე, ელთად  
მოეძებნოთ ბოჩოლა, — ემუდარებოდა პა-  
ტარა ია.

— კარგი, ერთი! რა შენი საქმეა.

ია ქირვეულობდა. ბოლოს, თვალე-  
ბე მსხვილი, მბრწყინავი ცრემლი რომ

მოაღვა, ოქროპირს შეეცოდა და დას-  
თანხმდა:

— კარგი, წამოდი, მაგრამ რომ ვერ ია-  
რო, ქალაში დაგტოვებ!

პატარები სწრაფად მიდიოდნენ, პირ-  
დაპირ ხნულებში მიაბიჯებდნენ. ხანდახან  
ია ფორხილობდა და ძლივს მიჩანჩა-  
ლებდა.

ახლადაყვავებული აკაციების ქვეშ  
ძროხები ბალახობდნენ. იქვე შეატრუნა  
ბიჭებს შეეყარათ თავი და ერთმანეთს  
საქიდაოდ აქეზებდნენ.

— ბოჩოლა, მუუ! — შორიდან იძახდა  
ია. იას ძახილზე არც ერთ ძროხას თავი  
არ აუღია, დინჯად განაგრძობდნენ ბა-  
ლახობას.

— ბოჩოლა, მუუუ, ბოჩოლა! — შეს-  
ძახა ახლა ოქრომ, მაგრამ ბოჩოლა არ-  
სად ჩანდა.

— ჩემი ბოჩოლა არ გინახავთ? მოკაკუ-  
ლი ლამაზი რქები აქვს და შუბლზე თეთ-  
რი! — თამამად მიმართა ოქრომ ბიჭებს.

ბიჭებმა ქიდაობას თავი დაანებეს და  
იასა და ოქროს ახედ-დახედეს. ერთი, რო-  
მელიც მოქიდავეებს აქეზებდა, წინ წამო-  
დგა, დოინჯი შემოიყარა და ოქროს  
უთხრა:

— შენი ბოჩოლა, ჩემო ძმაო, როგორ  
არ მინახავს, გუშინ ცხენისწყალთან გუ-  
ბის პირში ბალახობდა. ამ დილას რომ  
გამოვიარე, იქ ძვლები ეყარა მხოლოდ.  
გაიგე, ჩემო ძმაო, მგელს შეუქამია! — და-  
აბოლოვა პატარა ბიჭმა, ხელი ხელს და-  
ჰკრა, შეუბერა და გაიცინა.

ბიჭებმა ხარხარი ატეხეს. იცინოდ-  
ნენ, იასა და ოქროს აჯავრებდნენ და  
ერთმანეთს ეძიებოდათ.

— ბოჩოლა, ჩემო კალგო ბოჩოლა!  
— ატირდა ია.

— კარგი, ნუ სტირი, ესენი ტყუილს ამბობენ, მე ვიცი, სადაა ჩვენი ბოჩოლა!  
— აიძვლებდა ოქროპირი.

— შენ თუ იცი, ჩვენ რას ვევეითებოდი! — გამოელაპარაკა ახლა მეორე.

— მითხალთი, მალთლა შექამა მგელმა ჩემი ბოჩოლა? — სლუკუნებდა ია.

— მართლა შექამა, მართლა! — იცი-ნოდნენ ბიჭები. გაჯავრებულმა ოქრომ რალაც ჩაიბუტბუტა, იას ხელი ჩაავლო და თან გაიყოლა.

ცხენისწყალს რომ მიუახლოვდნენ, შებინდდა, დასავალთან ბოჩოლას რქასავით მოკაკული ახალი მთავარე გამოჩნდა, მოწმენდილ ცაზე აქამდე წითლად შეღებილ ღრუბლებს ფერი გაუკრთა. ურმების ხმაც მიწყდა.

— ოქლო, მშია! — აბუზღუნდა ია.

— მე ხომ გითხარი, ქალაში სიარული შენი საქმე არაა მეტიქი, რა დროს შიმშილია! მაშინ ნახე, ბოჩოლა თუ შექამა მგელმა!

ია დაჩუმიდა. ბინდბუნდში მომეტებულად ხმაურობდა ცხენისწყალი, რიყე თეთრად ქათქათებდა.

მთვარემ მდინარეს ოქროსფერი შუქი დააფრქვია. ცაზე ვარსკვლავები კიფობდნენ. ყველაფერი მიწყნარდა ღამის მღუმარებას წყლის შხუილი არღვევდა მხოლოდ.

პატარები ძლივს მიაბოტებდნენ ხნულეში.

ქვევით, გაშლილ მინდორზე, საქონლის ჩრდილი გამოჩნდა. ოქრომ ხელი ჩაჰკიდა იას და იქეთ გაეშურნენ.

— ბოჩოლა, მუუ... მუუუ, ბოჩოლა! — იძახდა, ოქრო.

— ბოჩოლა, ჩემო ბოჩოლა, მუუუ! — იმეორებდა ია.



მინდორზე საქონელს წრე-გაეკრებიან: ხნოები იწუნენ, ძროხები აუჩქარებლად იცოხნიდნენ, ზოგი კაცსევე ხალხობდა.

ოქროპირმა სათითაოდ ჩამოურბინა მათ, „ბოჩოლა“ „ბოჩოლა“ — იძახდა ის... „ბოჩოლა, ჩემო კალგო ბოჩოლა“ — ეხმარებოდა ია, მაგრამ ბოჩოლა არსად ჩანდა. ოქრო თვითველ მათგანს ეალერსებოდა, კისერზე ხელს უსვამდა. ძროხები მშვიდი, ქკვიანი თვალებით აკვირდებოდნენ მას. ბოლოს ოქრო შეჩერდა და დაღონებულმა ხელები ჩამოუშვა.

ია შეშინებული იტკირებოდა აქეთ-იქით. ქალაში სიხუმე იღვა.

— ნამდვილად მგელმა შექამა ბოჩოლა... ბოჩოლა! — აღრიალდა ია.

— სუ, გაჩუმდი, ნუ სტირი! — აჩუმებდა ოქრო.

— ოქლო, წამიყვანე დედასთან, — ტიროდა ია.

— სუ, სუ! გაჩუმდი! — აწყნარებდა ია. ახლა მასაც ეშინოდა. ცხენისწყლის ღრი-ალიც უფრო შიშს ჰგვრიდა. მხოლოდ ძროხების დინჯი თვალები და უწყინარი, აუჩქარებელი ცოხნა აიძვლებდა პატარებს.

— მომყე, გოგო, თავს ვუშველოთ!

— ეწეოდა ოქრო. ია ბორძიკით მიჰყვებოდა. ბევრი იარეს, მაგრამ გზა ჯერ არსად ჩანდა.

ბავშვები მირბოდნენ და ძლივს სუნთქავდნენ. ხნულები გადირბინეს. თხრილებსა და ორმოებს ახტებოდნენ. ბოლოს გზისპირას გაკვიდნენ. მეურმის ლილინი შემოესმათ.

— ბიძია! უუუ! — მოჰყვა ყვირილის ოქრო. მეურმე კვლავ განაგრძობდა ლილის. ოქროს იაც მიეძველა:

— ბიძია! ბიძია! უ... — წამოიქნა ელა პატარამ. ბავშვები ფეხდაფეხ მისდევდნენ ურემს.

ურემი ხილთან გაჩერდა, მეურმე ლილინი შეწყვიტა და ძირს ჩამოხტა. მოხუცი კაცი წინ დაუდგა ხარებს, ბავშვები აათვალთვინა-ჩაათვალთვინა და მერე გაკვირვებულმა თქვა:

— ბიჭოს, შენა ხარ, ოქრო?! იაც აქ არის?! ამ ღამეში სად ყოფილხართ, ხომ არ შეგეშინდათ?



— ბაბუ გიგო! ეს შენა ხალ?! შენ გენაცვალე! ჩვენ ბოჩოლას საძებნად წამოვედით და დაეკალგეთ! — ტიტინებდა ია!

ბაბუა გიგომ ურემზე დაისვა ორივე, და ნაეახშემებს, მთვარე რომ ჩავიდა, სოფელში იყვნენ.

მარინე დიდხანს ქაქანებდა და ტუქსავდა იასა და ოქროს.

— კარგი, შე ქალო! — ეუბნებოდა სარდლიონი ცოლს. — ბავშვებია, რა ვუყოთ. მაგაზე უარესიც მიქნია, თავი დაანებე!

— ბოჩოლას რას ვჩივი, მარცხი რომ მოსვლოდათ, მაშინ რა უნდა მექნა! — არ ცხრებოდა მარინე.

— ნუ გეშინია, შე ქალო! ბავშვები კარგად არიან. ბოჩოლას მაგიერ კი ისეთ ძროხას გიყიდი, რომ სულ მის ქებაში იყო!

ია და ოქროპირი კი გალურსულიყვნენ, რადგან ცემას გადარჩნენ, და მადიანად შეეცქეოდნენ ვახშამს...



მალე გაიღია აპრილის თბილი და მშვიდი ღამე.

თმისა და კაბის სწორებით ჩამოვიდა ოდიან ახლადამდგარი მარინე.

— ლუ... ლუ... ლუ... — ღრუტუნით შეეგება წინ ღრუტუნია.

— მოგვივლათ, ა, თქვე ცუდლუტებო! — მილაპარაკებდა სამზარეულოსაკენ მარინე, და უკან ჯარად მისდევდნენ დედლები და ვარიები.

სარდლიონც უკვე ამდგარიყო, ვაშლის ხის ქვეშ ურემს სახელურს უცვლიდა და ღიღინებდა. მწვანე, რბილ და კრიალა კოლინდარზე ვაშლის, მსხლისა და ალუბლის ყვავილების თოვლი მოდიოდა.

— სარდლიონ, — სარდლიონ, კაცო, არ მოღიხარ?

— გამარჯობა, სარდლიონ!

— გამარჯობა!

რიგრიგობით იძახდნენ გზიდან კოლმეურნეები, და ხმაურითა და ჭრიალით დინჯალ მიემართებოდა ქალისაკენ ურემების მწკრივი.

— მოვდივარ, ბიჭებო, მოვდივარ! — უბასუხებდა სარდლიონი.

— წადი, კაცო, არ დაიგვიანო, სირცხვილია! — შეესიტყვა სარდლიონს მარინე და მოჰყვა გაუთავებელ „ჯუ, ჯუს“ ძახილს, იაც აივანზე გამოსულიყო, ოქროს კი ეძინა და ძილში ძალზე შფოთავდა.

გვაზოურში ცხენისწყლისპირას ტყე რომ არის, იქ ნახა ოქროპირმა თავისი ბოჩოლა. გასუქებულიყო. გაეხარდა ოქროს და მივიარდა, მაგრამ ბოჩოლა ტყისაკენ მიიწვედა.

— ბოჩოლა, ჩემო ბოჩოლა! — იძახდა ოქროპირი, მაგრამ მივიდა ახლო თუ არა, ბოჩოლამ კული ზევეთ აიპრიხა და სირბილით ტყეს მიაშურა. გამოუდგა ოქრო, მისდევს, სულს ძლივს ითქვამს. ბოლოს ბოჩოლა გაჩერდა და ტყიდან ვეება, კბილვებდაკრეკილი საშინელი მგელი გამოვიარდა და ბოჩოლას ეცა. ბოჩოლამ მაგრად მოუქნია რქა და მგელი დააფრთხო, მაგრამ ისევ მოტრიალდა მსუნავი და საწყალო ბოჩოლას ახლა უკვე კისერში ეცა.

— მუ...უ...მუ...უ — მოჰყვა ბლავილს ბოჩოლა. რა ქნას ოქრომ, როგორ უშველოს, ფეხებიც არ ემორჩილება, ხმა-საც ვერ იღებს.

— მუ...უ...მუ...უ — ბლავის ისევ ბოჩოლა.

— მიშველეთ... — წამოიყვირა უცებ ოქრომ.

— ოქლო, ოქლო! — შემოვარდა ოთახში ია, — გაიღვიძე, ოქლო! ბოჩოლა მოვიდა, ბოჩოლა!

ოქრომ თვალები გაახილა.


— ჩქალა, ოქლო, ჩქალა! ბოჩოლამ ისეთი პატალა ფუჩინა მოიყვანა, ლომ გავგებალდება!

ოქრომ ტანისამოს ხელი დაავლო და კარში გამოირბინა. ოდის წინ მსხლის ქვეშ დაება მარინეს მსუქანი, წაბლისფე-

რი ბოჩოლა, ხელს უსვამდა და წაიღებოდა.

— ა, შე ეშმაკო, ხბოს მონსტრად წახვედი ქალაში? მგელს რომ შეეჭამე!

იასა და ოქროს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ოქრო ტუჩებში ჰკოცნიდა ბოჩოლას, ია კი ხელს უსვამდა შუბლზე. დილის ნიავი ოდნავ არხვედა ხეხილს. სოფელში იღვა ალუბლისა და ატმის ყვავილებით დაბურული კეკლუცი აპრილი.



## სანდრო ქაფში

# სურათი



წუხელ წვიმდა... დღეს კი დილით მზე კრიალა სხივებს ფანტავს... გაზაფხულის სიკეკლუცე ბაღს ეფრქვევა ია — ვარდად...

და იბნევა შადრევნიდან მოწყვეტილი შხეფი ბროლის... მოუქარგავს ნახეზივით ყვავილნარებს მწვანე მოლი.

ბრწყინავს დღესაც ფერადებით ეს ჰადარი ლაღის მსგავსად, იგიც ხარობს ამ მიწაზე გადაშლილი ფიანდახად.

აბრეშუმით მოსირმული, პარაშუტი — თეთრი ფთილა

იქ სივრცეში ქოლგასავით მოფრიალებს და გაშლილა.

ხშირად, ხშირად ამ კუთხეში როს დატკება გული, თვალი, მესმის ბავშვთა სიმღერის ხმა: — გაუმარჯღს ძია სტალინს!

მესმის ხმა და მათთან ერთად მემატება სიხალისე, ხის ფოთლებიც შრიალებენ, შრიალებენ წყნარად ისე.

რა სიუხვით იფანტება შადრევნიდან თეთრი ბროლი... ყველას გულში გაზაფხულობს ვარდები და მწვანე მოლი.



# ნაცარა და ნაბია



(ზღაპარი)

სოფლის გადაღმა ერთ მყუდრო ვა-  
გნარში ორი მელა ცხოვრობდა. ერთს  
ნაცარა ერქვა, მეორეს ნაბია. ორივეს  
შვილები ჰყავდა დასაზრდელი. მათი სო-  
როები მეზობლად იყო. ლეკვები შეჩვე-  
ული იყვნენ ერთმანეთთან და მზიან ღმრთ-  
ულ ერთად თამაშობდნენ. ნაცარა და  
ნაბია დიდი მეგობრები იყვნენ, საქუ-  
რდაოდ სულ ერთად დადიოდნენ და ნა-  
დავას შუაზე იყოფდნენ.


ერთ ზაფხულის დილას ნაცარა და ნა-  
ბია საქათმეში შეიპარნენ, ის იყო ქათმე-  
ბის აწიოკებას აპირებდნენ, რომ ქოთა-  
კის რიხიანი ყუფა და ქათმეების შემინ-  
ებულ კრიახზე გამოღვიძებული პატრონის  
მუქარა გაისმა. გულგახეთქილი ნაცარა  
ხელცარიელი ისევ ჭკანვე წაუწულდა.  
ნაბიამ კი მოასწრო ერთი დედალის და-  
ჭერა და გარბოდა. რაც ძალი და ღონე  
ჰქონდა. ნაცარამ შენიშნა ნაბიას კბილე-  
ბში მოფართხალე დედალი. ესიამოვნა  
მეგობრის მამაცობა. იცოდა, რომ

ნადავლს შუაზე გაუყოფდა, და სიხარულით  
გაჰყვა უკან. დიდხანს ირბინეს. სოროებს  
რომ მიუახლოვდნენ, წამოკუცდნენ.

ნაბიამ ნაქურდალი წინ დაიღო და გა-  
სისხლიანებული ღაშები მოილოკა.  
ნაცარა ჩვეულებისამებრ მივიდა მე-  
გობართან და ნადავლის გაყოფა სთხოვა.  
ნაბია ვაჯიუტდა, ნაცარას წინ გადაედგა  
და სასტიკ უარზე დადგა. ვინ იცის, რა  
საშინელი ბოძოლით დამთავრდებოდა, მა-  
თი მეგობრობა რომ ნაბიას ეშმაკობა არ  
ეხმარა.

— მოიკა, ნაცარავ, — ტკბილი ხმით  
დაიწყო მან. — ეს დედალი ჩვენ ორ ოჯახს  
არ ეყოფა, ერთს კი შშენიერად დააკმა-  
ყოფილებს. ჩვენ რომ ჩხუბი არ მოგვი-  
ვიდეს, შოდი ასე ვქნათ: ეს დედალი  
ჩვენ ორში იმას დარჩეს, ვინც დიდ ტყუ-  
ილს იტყვის.

ნაცარას მოეწონა მეგობრის წინადა-  
დება და თანხმობის ნიშნად თავისებუ-  
რად ჩაიხითხითა.  
პირველი ტყუილი ნაბიამ თქვა.





— მაჩანქმს საზამთროს ბალი ჰქონდა მდინარის პირას. კარგად უვლიდა, და ძლიერ კარგი მოსავალიც იცოდა. ბალს მამაჩემის მიერ გაწვრთნილი ბატი სდარაჯობდა უშველებელი რამ იყო ეს თრინველი. ერთი ადლი სიმაღლე ჰქონდა. თავი საზამთროს ტოლა ება. კაკლის სიმსხო თვალეზი ბუსავით უბრიალებდა. ფეხები ფარდაგივით ბრტყელი ჰქონდა. ბუმბული მამალი ხოხობივით მბზინავი ესხა. ფრთები ჰქონდა ისეთი, რომ წვიმის დროს ათასი კაცი შეეფარებოდა. სიარულში კარგი ბედაური ვერ აჯობებდა. ყვილი იცოდა ისეთი, რომ მთა და ბარი ზანზარებდა, მისი ხმა ქუხილივით ჩაუვლიდა მინდვრებს და ყველა სულდგმულს შიშის ზარსა სცემდა. ბატის შიშით ბალის ახლომახლო ვერავინ გაივლიდა. არწივი და ქორიცი კი ვერ გადაფრინდებოდნენ ბალის თავზე, მგელი და ტურა ხომ ძრწოლით სცილდებოდნენ ბალს და თავიანთი სოროებისაკენ მიიჩქაროდნენ.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი ბალი კარგ მოსავალს იძლეოდა. როცა საზამთრო შემოვიღოდა, ჩავიდოდით, ლავკარფედით, ავაესებდით ურმებს და მთელ სოფელს ვაოხებდით.

ერთ ზაფხულს ერთი საზამთროს შტო ძალიან დიდი გაზრდილიყო. თურმე, ჩვენ ბატს ისე სწრაფად მოზარდი საზამთრო არ ენახა. ბოლოს ეს შტო მდინარის იქით გადასულიყო და იქ ერთი უშველებელი

საზამთრო გამოეზა. ხალხმა შენიშნა თუ არა მდინარეზე გადაღებული შტო, ზედ სიარული დაიწყო. მიჰქონდათ და მოჰქონდათ დატვირთული ურმები. თან მაჩანქმსა ლოცავდნენ, თურმე: ხიდის გაცემა გვინდოდა და ამაზე უკეთესს რაღას გავაცეთებთო.

ჩვენმა ბატმა შეამჩნია ხალხის სიარული. გაბრაზდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიკვილა და ბოზოქრობით წავიდა ხიდისაკენ. ხალხი შიშისაგან მიიშალა, ცხოველები გაინაბნენ. ფრინველებმა ხის შტოებს მიაშურეს, მწერებმა თავიანთი ბუდე მონახეს.

ბატმა რისხვით გადაიარა ხიდი და ბრაზით ანთებული თვალეზი სახლის ოღენა საზამთროზე შეაჩერა. მიუახლოვდა, ნისკარტი მიუკაკუნა, დარწმუნდა, რომ მწიფეა. დაენანა, სხვას რად უნდა დარჩესო, და თვითონ დაუწყყო ჰამა. ერთი გვერდიდან გამოკორტნა და მთლად გამოსჰამა გული. როცა კარგად აგაძლია, დინჯი ლასლასით ისევ ბალისაკენ გამოეშურა.

ამის შემდეგ ჩვენი ბატი გამოხრულ საზამთროს თვალს არ აშორებდა. მთელი ღამე არ ეძინა, იმოდენა საზამთრო იქით რად აბიაო.

მეორე დღეს ისეთი კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომ ნიაღვარმა დაფარა მიდამო და საზამთროები ნაფოტებოვით მოიტეტიტევა. ბატმა ვაღმა გაიხედა. გა-



უკვირდა რომ დიდი საზამთრო არა ტივტივებდა. კარგად დააკვირდა. ხედავს: შიგ ცხენები შესულან და არხეინან ფრუტუნებენ. ვარშემო ძაღლები დარბიან და ხანდახან ადამიანებიც ჩანან.

თურმე, შვიდი ცხენიანი მონადირე შეფარებულიყო გამოკორტნილ საზამთროში და წვიმის გადაღებას უცდიდა.

განრისხდა ბატი. ისეთი ხმით დაიწყო ყვირილი, რომ არემარე გაყრუვდა, მაგრამ მონადირეები არ წავიდნენ. როცა წვიმა შეწყდა, გაბრაზებული ბატი გამოხრულ საზამთროსაკენ გაემართა. მონადირეები ხილზე შეხედნენ. გაცოფებულმა ვეღარ მოითმინა და ფრთათა ფარფატითა პყვილით წინ მომავალ ცხენს ეცა: ცხენმა ფეხი დაადგა და გვერდი დაუხიანა. ტკივილისაგან უფრო მძლავრად აუვივლდა ბატი. ყვირილმა ჩვენამდე მოაღწია. მამაჩემი საშველად გაემართა. დახიანებული გვერდი გამოაჭრა, კარგად გამოუსუფთავა, წხელი მოხიდა და გვერდი გამოუწნა. მერე თიხით გამოუღვსა. ზედ ბუმბული დაამაგრა, და ჩვენი ბატი ახლაც მშვენიერად გრძნობს თავს.

დამთავრა ნაბიამ და გამომწვევი თვალით გადახედა ნაცარას. ნაცარამ აუჩქარებლად დაიწყო:

— მამაჩემო ოცდაათი სკა ფუტკარი ჰყავდა. დიდ მზრუნველობას იჩენდა მათზე: სკებს ყოველთვის ასუფთავებდა, გობში წყალს ყოველთვის ცვლიდა, სკების გარშემო ყვავილებს რგავდა და საფუტკრის მიდამოს ყოველთვის გვიდა. ყოველ დილას თვითთული სკიდან ფუტკარს გამოთვლიდა და საღამოს კი ისევ შესთვლიდა, რომ არ დაჰკლებოდა. თვითთულ ფუტკარს იცნობდა. ყველას სახელს ეძახდა. თუ რომელიმე სკას ერთი ფუტკარი დააკლდებოდა, უკვე იცოდა რომელი ფუტკარი იყო დაკარგული. დაუხარებლად წავიდოდა, მოსძებნიდა და ტუქსვით მოიყვანდა შინ.


ერთ საღამოს მურა ფუტკარი დაიკარგა. დიდხანს ელოდა მამაჩემი, მაგრამ არ მოვიდა. ადგა, წავიდა, ბევრი ეძება. ვერა და ვერ იპოვა. დაღლილ-დაქანცული უკან დაბრუნდა. საფუტკრის კუნძზე ჩა-

მოჯდა და მწარედ ჩაფიქრდა. ცოტახნის შემდეგ გზას გააყოლა თვალი. ხედავს: მურა ფუტკარი კოჭლობით მოდის. ენა და წვეთები ნაცემივით წამოხტა მამაჩემი, ფუტკარს მიუახლოვდა და რას ხედავს — საბრალო მურა ფუტკარს ფეხი დაჰშავებია. მამაჩემი მხარში შეუჯდა და ძლიერ ვაივავლახით მოიყვანა. ფეხის დაშავების მიზეზი გამოჰკითხა.

— გამაწვალა, იმ ურჯულომ! — ამოიკენესა მურა ფუტკარმა და წინა თათით ტრემლი მოიწმინდა.

— დილას ეზოდან გავედი თუ არა, კალოებისაკენ ჩავყე. აყვავებული მზესუმზირა მეგულებოდა და იმისკენ მივიჩქაროდი, მაგრამ დახეთ უბედურებას: ვიღაცა გლეხი ვადამიღვა წინ, მტაცა ხელი და კალოსაკენ წამართია. გამოცვივდა გლეხის ჯალაბოზა და ისინიც მიეშველნენ. თურმე, ამ გლეხს ერთი ხარი მოჰკვდომოდა, უღელი ჩამოვარდნოდა და მე იმიტომ მიმართედა, რომ იმ ხარის მაგიერობა გამეწია. გავძლიანდი, უკან წამოსვლა ვცადე, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. დამადგეს უღელი და მთელი ღღე კალო მალეწინეს. ძალიან ვავიტანჯე. ფეხი ცალკე დამიშავდა და კისერი ცალკე დამიიარავდა.

დამთავრა თავისი თავგადასავალი მურა ფუტკარმა და უღლისაგან დაიარავებული კისერი წინ გამოსწია. მამაჩემმა იკითხა, თუ რით ეწამლა ფუტკრისათვის. მეზობლებმა დანაყილი კაკლის ლებანი დაუსახელეს, როგორც უებარი საშუალება. მამაჩემი ასეც მოიქცა. მურა ფუტკარს დანაყილი ლებანი წაუსვა კისერზე, მაგრამ დახეთ საკვირველებას, არ გასულა ერთი კვირა, რომ მურა ფუტკარს



კისერზე უშველებელი კაკლის ხე ამოუვიდა, შეიფოთლა და კაკალი მოისხა. სულ მალე შემოვიდა და, ჩვენდასახიზაროდ, მოსაკრეფი შეიქნა, მაგრამ ყვავების გუნდი შემოესია და კაკალს სულ აჩანაგებდა. გაბრაზდა მამაჩემი. ერთ დღეს დასაფრდა. როცა ყვავები მოფრინდნენ, ბელტი ესროლა და რამდენიმე ყვავი მოკლა. ნასროლი ბელტი კაკლის ტოტეში გაიჩხირა, საოცარი სისწრაფით გაიზარდა და უშველებელი სახნავ-სათეს მინდვრად გადაიქცა. აღმოცენდნენ ხეები, აყვავდნენ ყვავილეები, მოფრინდნენ ფრინველები და საამური ქიკვიკით გაამხიარულეს მიდამო.

ჩვენ ახალ მიწაზე ავიტანეთ გუთანი, ავიყვანეთ ხარები, ვაემართეთ გუთნეული და გადავაშავეთ მინდორი. ძალიან კარგი მოსავალი მოვიდა. აღარ ვიცოდით სად ჩავყვარა. ბელტები აღარ გვეყოფნიდა. მამაჩემმა იფიქრა: ალბათ, აქ ფუტკარიც კარგად იხვირებსო. ერთ-დღეს მთელი საფუტკრე იქ გადავიტანეთ. მშენიერად იგვარა ფუტკარმა. ყვავილი ბევრი იყო და მეტი რაღა უნდოდათ. მუშაობდნენ და მუშაობდნენ. ბევრი თაფლი ვააკეთეს სკებში რომ არ ეტეოდა, გარეთ გადმოდიოდა და ნაკადულივით მიჩუხჩუხებდა მინდორზე. იმოდენა მწერი ეხვეოდა, რომ მათი გუნდები მზეს აბნელებდა. თაფლის სუნი დათვამაც აიღო და ჩვენს საფუტკრეში სშირად დაიწყო სიარული ერთ დილას რამდენიმე სკა ენახეთ გადაბრუნებული. განრისხდა მამაჩემი, შემატყობინა თავისი განზრახვა და ორნი ჩავსაფრდით ბუჩქებში.

დალაშლა. ყველაფერი მიწყნარდა. ღამის მყოფროვება გამეფდა. ჩვენ ხმამაყოფლებლივ ვსხედვართ დათვის მოლოდინში. შუალამე გადავიდა. მთვარე გადაიხარა. მამლებმა ყვირლს უმატეს. მე მოუთმე-

ნლად ვტრიალებ. უცებ ფრთხილად დაჩუნი შემომესმა. ჩემ პირდაპირ მდგომი ბუჩქებიდან დათვი გამოვიდა და ჩვენსაკენ მოსა და სკებისაკენ გასწია. ბელტი სისწრაფით წამოვხტი. დავეტაცე დათვს. ყურში მოვაველე ხელი. მოვიქნიე და ლაზათიანად ვავეჭლოართე. მამაჩემიც მომეშველა. დავასხდით ხვიდან, იმდენი ვცემეთ, იმდენი ვცემეთ, რომ ქურდმა დათუნამ ერთი დაიღმუვლა და პირიდან დალუქული ბარათი წამოაგდო.

— რა ეწერა იმ ბარათში? — იკითხა მოუთმენლად ნაბიამ.

— ნაცარას დედალი და ნაბიას ცხელი ნაცარიო, — უპასუხა ხარხარით ნაცარამ და ის იყო დედალი უნდა წაეღო სოროში, რომ ამ დროს კომბალი მოპხვდა გვერდში, ერთ დარტყმას მეორე მოპყვა. საშინელი ტკივილი იგრძნო, სიცილი ტირილად შეეცვალა. უკან მოიხედა, ქათმის პატრონი იცნო და თავზარდაცემული მოსწყდა ადგილიდან.

მეორე დღეს ნაცარა და ნაბია სოროების წინ შეხვდნენ ერთმანეთს. გუშინდელი ტკივილები კიდევ სტანჯავდა ორივეს. ხმამაყოფებლივ დაცუტქდნენ და სინანულით იტკირებოდნენ სოფლისაკენ.

— ახლა კი დროა, ჩემო ნაბიავ, ქურდობაზე ხელი ავიღოთ. ტყუილით, ქურდბაცაკაობითა და ორპირობით ცხოვრება შეუძლებელია. სჯობია ხელი ვავიქნიოთ, საკუთარი შრომით მოვიპოვოთ საზრდო, და ისე დავირჩინოთ თავი, თორემ კომპლიანი გლეხი მრავალადაა სოფელში, — წარმოთქვა ნაბიამ და გამოცდელი მზერით ჩათვალიერა მეგობარი. ნაცარაც თანხმობის ნიშნად თავს იქნევდა და დროგამოშვებით ილოკავდა ნატყენ გვერდს.





დაიღა თაბუჯაშვილი

საინჟინერო ტექნიკურის I კურსის სწავლელ  
სურათები ავტორისაა.

# ჩაიი ზინა

ცელქი არის ჩემი თინა,  
სულ პატარა, პაწაწინა,  
თეთრია და თმახუჭუჭა,  
ყურცქვიტა და კულქიცინა.

ერთ ადგილზე არ ისვენებს,  
დახტის, დარბის გარეთ, შინა,  
გუშინ მზეზე მთელდემი ფისო  
გააბრაზა, შეაშინა.

დედოფალა გამომტაცა,  
გაუტეხა საწყალს თავი,  
მოაგლიჯა ცალი ფეხი,  
დაუფხორიწა მოსართავი.

გრძელ ჯოხს სტაცა უცებ პირი,  
გაეჩანა სწრაფად ფინა,


ჯოხი მოკბედა ჩვენს ფანჯარას,  
ჩამატვრია ერთი მინა.  
გაუუჯავრდი, დაუუყვირე:  
-რად არ მაძლევ მოსვენებას,  
ყველაფერს რომ ამსხვრევ, ამტვრევ,  
განა არის შენი ნება?"

შეხეთ, ერთი, რეგებს ჩადის,  
გასთუპუნია ცხვირი მურით!  
და ცელქ ფინას, გაუგონარს,  
აფუწიე მაგრად ყური.



ეწყინა და აიბუზა,  
გამონახა თავის ბუდე,  
ხმას აღარ მცემს, დამივიწყა,  
გამებუტა, გავებუტე.

და მას შემდეგ ჩემი ფინა,  
ეშმაკი და კულქიცინა,  
აღარ მტაცებს დედოფალას,  
აღარც ამტვრევს ფანჯრის მინას.





# „მ ზ ე მ რ ა ვ ე ბ ი“

თამაშობს ოცდაათამდე ბავშვი. თამაში უნდა ჩატარდეს გარეთ — ეზოში. ბავშვები გაიყოფიან ორ ნაწილად: „მზვერავებად“ და „მოწინააღმდეგებად“.

შემდეგ მოწინააღმდეგეთა ჯგუფის წევრები იმალებიან სხვადასხვა ადგილას.

ხუთი ან ათი წუთის შემდეგ გამოდიან „მზვერავები“. მათი ამოცანაა: იპოვონ წინასწარ შეთანხმებული დროის განმავლობაში (10—12 წუთი) ყველა „მოწინააღმდეგენი“. როგორც კი გაივლის დანიშნული დრო თამაშის ხელმძღვანელი

ამღვეს ნიშანს. ძებნა სწყდება. თამაშის ხელმძღვანელი დაითვლის „მზვერავების“ მიერ ნაპოვნ „მოწინააღმდეგეებს“.

ამის შემდეგ ჯგუფები იცვლებიან: „მოწინააღმდეგენი“ ხდებიან „მზვერავებად“, ხოლო „მზვერავები“ — „მოწინააღმდეგებად“.

თამაშის ხელმძღვანელი კვლავ შეამოწმებს შედეგს და შემდეგ გამოაცხადებს — რომელმა ჯგუფმა გაიმარჯვა, ე. ი. რომელმა ჯგუფმა მონახა უფრო მეტი მოწინააღმდეგენი.

## კ ა შ ე მ ე რ მ ა ა ა მ ნ ა ხ ა ზ ხ ა



◊ ვასუხი ფურ. „ოქტომბრელის“ № 6 მოთივებულ, 3. ქანიშვილის გამოცანებზე: 1. საათი, 2. საათის ისრები, 3. ირემი, 4. ჩრდილი, 5. ზღარბი, 6. წიგნი. ◊